A STRATEGIC CHARTER SIGNED BETWEEN THE UNITED STATES AND GEORGIA. THE BEGINNING OF A NEW ERA IN THE HISTORY OF RELATIONS BETWEEN THE TWO COUNTRIES

შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის გაფორმებული სტრატეგიული ქარტია. ახალი ეპოქის საწყისი ორი ქვეყნის ურთიერთობების ისტორიაში

TAMAZ DAVITADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, PhD candidate in history;
Batumi Shota Rustaveli State University, a guest teacher;
N35 E. Ninoshvili st.Batumi, Georgia;
+995591714279; tamazidavitadze1994@gmail.com;
https://orcid.org/0009-0009-0469-1949

Abstract

2008 was a very dramatic year for Georgia, when the independence of our country was directly threatened by Russia. The August war changed the fate of Georgia as well as of Europe in modern times, the majority of historians now believe that the aggression initiated by Russian president in Georgia in 2008, was continued in Ukraine and followed by the hybrid war in other countries of Eastern Europe.

The August 2008 war completely changed the political agenda in the Caucasus. The main need, which was revealed by the analysis of the causes and consequences of the August 2008 Russia-Georgia war, was a new vision of Georgia in terms of foreign policy and a new vision of the bilateral relations with our country's strategic partner, the United States. Georgia needed a strong ally that would be able to support and help.

This process was sharply highlighted by the George W. Bush administration after the August 2008 war. Official Tbilisi aspired to move relations with the United States to a new level. The purpose of this article is to present the preparation of the foundations for the development of strategic cooperation between the United States and Georgia against the background of the terrorist attack of September 11, 2001, the anti-terrorist intervention in Afghanistan, and the 2003 Iraq campaign, as well as the rapid democratization, military modernization, and westernization of institutions of Georgia in the context of further rapprochement with the United States and NATO, which also led to Russia's aggression in 2008, which manifested itself in the form of the "August War", and whose goal was to stop the integration of the Georgian state into the Euro-Atlantic structures (or obtain an informal veto right) and prevent the establishment of strategic relations with the United States. The article reviews the main content of the strategic charter and its importance from the history of relations between the two countries.

Kay words: Strategic charter; Georgia; United States of America; Russia; Defense and security;

თამაზ დავითაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ისტორიის დოქტორანტი;
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მოწვეული მასწავლებელი;
საქართველო, ბათუმი; ე. ნინოშვილის ქ. N35; +995591714279;
tamazidavitadze1994@gmail.com; https://orcid.org/0009-0009-0469-1949

აბსტრაქტი

2008 წელი საქართველოსთვის მეტად დრამატული წელი გახლდათ, რადგან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას პირდაპირი საფრთხე დაემუქრა, რუსეთის მხრიდან. აგვისტოს ომმა შეცვალა, როგორც საქართველოს ასევე, თანამედროვე პერიოდში ევროპის ბედიც. ისტორიკოსთა უმრავლესობა დღეს უკვე მიიჩნევს, რომ რუსეთის პრეზიდენტმა 2008 წელს საქართველოში დაწყებული აგრესია, გააგრძელა უკრაინაში და აგრძელებს ჰიბრიდულ ომს აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

2008 წლის აგვისტოს ომმა სრულად შეცვალა კავკასიაში პოლიტიკური დღის წესრიგი. მთავარი საჭიროება, რაც აგვისტოს ომის მიზეზებისა და შედეგების ანალიზმა გამოავლინა, იყო საქართველოს ახლებური ხედვა საგარეო პოლიტიკის კუთხით და ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორთან შეერთებულ შტატებთან, ორმხრივი ურთიერთობების ცხადად წარმოჩენა. საქართველოს სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირე, რომელიც მას დაეხმარებოდა.

ეს პროცესი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მიერ, მკვეთრად გამოიკვეთა. ოფიციალური თბილისი მიისწრაფოდა, შეერთებული შტატებთან ურთიერთობების ახალ საფეხურზე გადაყვანას.

სტატიის მიზანია წარმოაჩინოს: 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის, ავღანეთში ანტიტერორისტული ინტერვენციისა და 2003 წლის ერაყის კამპანიის ფონზე შეერთებული შტატებსა და საქართველოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარების საფუძვლების მომზადება, საქართველოს სწრაფი დემოკრატიზაციის, სამხედრო მოდერნიზაციისა და ინსტიტუტების ვესტრენიზაცია შეერთებულ შტატებთან და ნატოსთან შემდგომი დაახლოების კონტექსტში, რამაც გამოიწვია კიდეც რუსეთის მხრიდან 2008 წელს აგრესია, რომელიც აგვისტოს ომის სახით გამოვლინდა და რომლის მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შეჩერება (ან არაფორმალური ვეტოს უფლების მოპოვება) და შეერთებულ შტატებთან სტარტაგიული ურთოერთობების ჩამოყალიბების ხელისშეშლა. სტატია მიმოიხილავს სტრატეგიული ქარტიის ძირითად შინაარსს და მის მნიშვნელობას ორი ქვეყნის ურთიერთობათა ისტორიაში.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული ქარტია; საქართველო; ამერიკის შეერთებული შტატები; რუსეთი; თავდაცვა და უსაფრთხოება;

შესავალი: კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ტერორისტული აქტი 2001 წლის 11 სექტემბერს მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. „მსოფლიო ვეღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც აქამდე იყო“ – 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, ეს სიტყვები არაერთხელ გაჟღერდა,

რის მიღმაც, ცივი ომის დასრულების შემდეგ შეერთებული შტატების საგარეო და საერთაშორისო პოლიტიკის ერთგვარი რადიკალური ტრანსფორმაცია იკითხებოდა, რომლის საზომად შესაძლებელია ჯორჯ ბუშ უმცროსის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი ავიღოთ. ჯორჯ ბუშ უფროსის და კლინტონის პოსტბიპოლარული საგარეო პოლიტიკისაგან განსხვავებით, ბუშ უმცროსის საერთაშორისო პოლიტიკა უფრო შემტევი, ყოვლისმოცველი და ფართო დიაპაზონის იყო. თუკი წინა ორი ადმინისტრაცია მეტ-ნაკლებად ცივი ომის მშვიდობიანად დასრულებისა და რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობებით იყო ინსპირირებული და მოსკოვის „ახლო სამეზობლოში“ ნაკლებად იჭრებოდა, ჯორჯ ბუშ უმცროსის საგარეო პოლიტიკამ აღნიშნულ ზღვარს გადააბიჯა და მისი საერთაშორისო პოლიტკა უფრო „ყოვლისმომცველი და შეღწევადი“ გახდა.

2002 წლის 17 სექტემბერს ჯორჯ ბუშის ადმინსიტრაციამ „ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხობეის სტრატეგია“ გამოაქვეყნა, რომელშიც აშშ-ს საერთაშორისო პოლიტიკის ახალი სტრატეგია იყო წარმოდგენილი (დოკუმენტი განიცდიდა ბუში უფროსის და რეიგანის პერიოდის ამერიკელი სტრატეგების, რესპუბლიკელი „ქორებისა“ და ნეო-კონსერვატორების დონალდ რამსფელდის, დიკ ჩეინის, ლიბბის და სხვ. გავლენას). ე.წ. ბუშის დოქტრინა მოიცავდა შემდეგ მნიშვნელოვან მიმართულებებს:

1. საფრთხეების განეიტრალების მიზნით, პრევენციული ომის წარმოების დაშვების შესაძლებლობას ნებისმიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ;
2. დემოკრატიული ღირებულებების, თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებისა და მიდგომების ექსპორტს.[1] ამ კუთხით განსაკუთრებული აქცენტები იყო გაკეთებული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე, სადაც დემოკრატიზაცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთერთი ეფექტურ იარაღად განიხილებოდა და პოსტ საბჭოთა სივრცეზე, რომელიც საბოლოოდ „ფერადი რევოლუციებით“ დასრულდა და რომლის მიზანი იყო რუსეთის პოზიციების შევიწროვება („ახალი ანაკონდას რკალი“).
3. საჭიროების შემთხვევაში სამხედრო მოქმედებების ერთპიროვნულად წარმოება (უნილატერალიზმი). ამით ვაშინგტონს სურდა ხაზი გაესვა თავისი სამხედრო ძლიერებისა და ლიდერობისათვის (bush-doctrine: 2002).

მეთოდები. წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: წყაროს ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, სისტემური ანალიზი.

შედეგები. სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ისტორიული მნიშვნელობა მდგომაროებს იმაში, რომ ეს იყო პირველი დოკუმენტი, სადაც ორი მხარე ვალდებულებას იღებდა, ძირითადად, საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცებისა და სახელმწიფოს მოდერნიზაციის მიზნით შეთანხმებული ნაბიჯების გადადგმის თაობაზე. ამ დოკუმენტით შეიქმნა პლატფორმა, რომელიც, ერთი მხრივ, აწესრიგებდა სხვადასხვა უწყების მიმართულებით მიმდინარე პროგრამებისა და პროექტების მენეჯმენტის და მონიტორინგის პროცესს და მეორე მხრივ, საშუალებას აძლევდა მხარეებს რეგულარულად განეხილათ და

[1] კრიტიკოსები მას დოქტრინის ყველაზე რომანტიკული ნაწილად მიიჩნევენ.

შეეთანხმებინათ თანამშრომლობის (ფაქტობრივად, აშშ-ის მხრიდან საქართველოს დახმარების) ახალი მიმართულებები.

თანამედროვე პერიოდში ქართულ-ამერიკული ურთიერთობები აღმავალი გზით ვითარდება. იგი მრავალი თვალსაზრისით, სტრატეგიულ ხასიათს ატარებს და სამაგალითოა რეგიონში. მთავარი მამოძრავებელი ძალა ფასეულობებისა და რეგიონში სტრატეგიული ინტერესების მზარდი თანხვედრაა. ორ ქვეყანას შორის მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები საქართველოს, მისი მოსახლეობისა და პოლიტიკური კლასის გაცნობიერებული არჩევანია. თავის მხრივ, იზრდება საქართველოს ცნობადობა აშშ-ში. ვაშინგტონის ისტებლიშმენტს კარგად ესმის ერთიანი, დემოკრატიული და განვითარებული საქართველოს მნიშვნელობა, პირველ რიგში, რეგიონში საკუთარი ინტერესებისთვის. დღეს საქართველო აღიარებული ლიდერია რეგიონში დემოკრატიული და მმართველობითი რეფორმების ტემპებით. განუხრელად უმჯობესდება მისი საერთაშორისო რეიტინგები.

ამრიგად, აშშ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი ეტაპის ძირითადი ამოცანა ხსენებული პროცესისთვის მყარი ეკონომიკური და უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფაა.

მსჯელობა. 2001 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის, საქართველოსთანაც, ურთიერთობა წარმოადგენდა: ურთიერთობის ძირითად მიმართულებად: თავდაცვის, უსაფრთხოების, ეკონომიკისა და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში თანამშრომლობა განისაზღვრა. ეს პოლიტიკა გაგრძელდა შემდეგი წლების განმავლობაში. ჯორჯ ბუშის მოღვაწეობის პერიოდი, ოფიციალური ვაშინგტონის და საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში, ოქროს პერიოდად არის მიჩნეული. რადგან სწორედ ამ პერიოდში გვხვდება სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება ორ ქვეყანას შორის და სტრატეგიული ურთიერთობების კონტურების ჩამოყალიბება.

2008 წელი საქართველოსთვის მეტად დრამატული წელი გახლდათ, როცა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას პირდაპირი საფრთხე დაემუქრა, რუსეთის მხრიდან. აგვისტოს ომმა შეცვალა, როგორც საქართველოს ასევე, თანამედროვე პერიოდში შეიძლება თამამად ითქვას ევროპის ზედიც, ისტორიკოსთა უმრავლესობა დღეს უკვე მიიჩნევს, რომ რუსეთის პრეზიდენტმა 2008 წელს საქართველოში დაწყებული აგრესია გააგრძელა უკრაინაში და აგრძელებს ჰიბრიდულ ომს აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

ხსენებულმა ომმა სრულად შეცვალა კავკასიაში პოლიტიკური დღის წესრიგი (ბულესკერია, 2016). მთავარი საჭიროება, რაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მიზეზებისა და შედეგების ანალიზმა გამოავლინა, იყო საქართველოს ახლებური ხედვა საგარეო პოლიტიკის კუთხით და ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორთან შეერთებულ შტატებთან, ორმხრივი ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადაყვანა. საქართველოს სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირე, რომელიც მას დაეხმარებოდა.

ეს პროცესი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მიერ მკვეთრად გამოიკვეთა.

შეერთებულ შტატებში 2008 წლის ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ რესპუბლიკური ადმინისტრაცია უნდა შეცვლილიყო დემოკრატიული

ადმინისტრაციით, დღის წესრიგში დადგა ორმხრივი ურთიერთობების ძირითადი ხაზის განგრძობადობის უზრუნველყოფა. ამავე დროს ისიც ნათელი გახდა, რომ აუცილებელი იყო თანამშრომლობის დღის წესრიგში ახალი პრიორიტეტების შეტანამდე არსებული აქცენტების კორექტირება და მისი ახლებურად გადახედვა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, 2009 წლის 9 იანვარს წარმავალი პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის მიერ ხელი მოეწერა საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიას (Civil.ge).

აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომლის ხელმოწერა და სრული ამოქმედება მეტად აქტუალური მოვლენაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური წარმატებების თვალსაზრისით. ქარტია ჩარჩო ხელშეკრულების დოკუმენტია და წარმოადგენს საფუძველს საქართველო-აშშ-ის მომავალი თანამშრომლობისთვის სხვადასხვა სფეროში. აღსანიშნავია ისიც, რომ ქარტია გახდა ბაზა სულ ცოტა ოცი ორმხრივი დოკუმენტის ხელმოწერისთვის, როგორც სამხედრო-ეკონომიკურ, ისე კულტურულ და სხვა სფეროებში (კაკაჩია, 2009).

ორ ქვეყანას შორის გაფორმებული სტრატეგიულ დოკუმენტის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, ასევე მრავალი მოსაზრება.

არსებობს ვარაუდი, რომ შეერთებულმა შტატებმა, უკრაინისა და საქართველოსთვის, ბუქარესტის სამიტზე, MAP-ზე უარის თქმის შემდეგ კონპენსაციის სახით, აღნიშნულ ორ ქვეყანასთან დადო ქარტია: „სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „ქარტია ერთგვარად იყო MAP-ზე უარის მიღების შემდგომი შოკური მდგომარეობიდან საქართველოს და უკრაინის გამოყვანისათვის მეტად აუცილებელი ნაბიჯი“.

სხვა მოსაზრების თანახმად, 2009 წლის 9 იანვარს ვაშინგტონში შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ქარტია წარმოადგენდა „უნიკალურ და ისტორიულ“ დოკუმენტს, რომელიც ხაზს უსვამს ვაშინგტონის ერთმნიშვნელოვან მხარდაჭერას საქართველოსა და მისი ხელისუფლებისადმი. უფრო მეტიც, ამ მოსაზრების მომხრეები თვლიდნენ, რომ ეს დოკუმენტი წარმოადგენს ნატოში საქართველოს დაჩქარებული გაწევრიანების სუროგატულ გარანტიასაც კი მას შემდეგ, რაც 2008 წლის აპრილში ნატოს სამიტზე ბუქარესტში და ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების დეკემბრის სამიტზე ბრიუსელში, სასურველი ნატოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) ქვეყანამ ვერ მიიღო.

ხაზი ესმებოდა ასევე იმას, რომ ეს არის პირველი ოფიციალური ორმხრივი შეთანხმება, რომელშიც შეერთებული შტატები საქართველოს „სტრატეგიულ პარტნიორს“ უწოდებს. სწორედ ამიტომაც, ხელისუფლების მტკიცებით, შეუძლებელია მისი მნიშვნელობის შეუფასებლობა. საინტერესოა ისიც, „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ანალოგიურ დოკუმენტს ხელი 10 წლის წინათ მოაწერა ბალტიის ქვეყნებთან, მაგრამ მისი აქტუალობა უსაფრთხოების თვალსაზრისით არ არის იმდენად დიდი, ვინაიდან დღევანდელი მდგომარეობით, სამივე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ნატოს წევრია და უსაფრთხოების დამატებით გარანტიებს არ საჭიროებს“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კავკასიის რეგიონში იმ პერიოდში და დღესაც მსგავსი შინაარსის დოკუმენტი შეერთებულ შტატებს მხოლოდ საქართველოსთან აქვს ხელმოწერილი. ეს ხაზს უსვამდა, ჩვენი ქვეყნის ღირებულებას პარტნიორული თვალსაზრისით ოფიციალური

ვაშინგტონისთვის, როგორც ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ჭრილში ასევე, შავი ზღვის რეგიონში. საქართველოს სძენდა მნიშვნელოვან როლს რეგიონში დასავლეთის პოლიტიკის გაძლიერებასა და აშშ-ის მეტოქეების რუსეთსა და ირანზე კონტროლის შესუსტებაში.

განსაკუთრებით იმ პერიოდში მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსეთის გავლენის სფეროების შესუსტებას კავკასიის რეგიონში, რომელიც მიიჩნევდა ჩვენს ქვეყანას „კონტროლის ზონად". რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ვერ ეგუებოდა დასავლეთის პოზიციების გაძლიერებას რეგიონში. 2005 წელს მან სინანულით აღნიშნა, რომ „XX საუკუნის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა საბჭოთა კავშირის დაშლა იყო". ეს სიტყვები ნეოიმპერიალიზმის დასაწყისი და რუსეთის ხისტი საგარეო პოლიტიკური ქმედების აშკარა ნაბიჯები იყო, რომელიც მუდმივად გამოიხატებოდა მეზობლების მიმართ მტრულ საგარეო პოლიტიკაში.

შეერთებულმა შტატებმა პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოსთან ერთად ანალოგიური ქარტია უკრაინასთანაც გააფორმა. XXI საუკუნის დასაწყისის ოფიციალური ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტები კავკასიის რეგიონსა და აღმოსავლეთ ევროპაში შეგვიძლია უკრაინა-საქართველოსთან ხელმოწერილი სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზით გამოვკვეთოთ. გამოვყოთ მათ შორის მსგავსება და განსხვავებები.

ქარტიის ძირითადი მიმართულებები ორივე ქვეყანასთან შემდეგი ფორმულირებებით განისაზღვრა. ორივე ქარტიის, როგორც უკრაინულის, ისე ქართულის პრეამბულის პირველი სამი პუნქტი თითქმის იდენტურია. საქართველოსთან გაფორმებულ დოკუმენტში პირველ პუნქტში აქცენტირებულია: „ჩვენი, როგორც მეგობრებისა და სტრატეგიული პარტნიორების, ურთიერთობების და პარტნიორობის, თანამშრომლობის გაღრმავების ორმხრივი სურვილის მნიშვნელობა". მეორე პუნქტში ნათქვამია, რომ თანამშრომლობა ეფუძნება საერთო ფასეულობებს და ინტერესებს, რომელთა შორისაა დემოკრატიისა და ეკონომიკურ თავისუფლებათა განვრცობა, უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და კანონის უზენაესობის განმტკიცება. აქვეა ხაზგასმული იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლება (იგულისხმება აგვისტოს ომის დროს, ასევე აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობა), დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებს. მესამე პუნქტში ლაპარაკია: „ეკონომიკის, ენერგეტიკის, დიპლომატიის, მეცნიერების, კულტურისა და უსაფრთხოების სფეროებში" თანამშრომლობის განმტკიცების სურვილზე. აღნიშნულია ევრაზიული ენერგეტიკული უსაფრთხოების მხარდაჭერის აუცილებლობა.

როგორც აღინიშნა, საქართველოსთან ქარტიის პირველი ნაწილი პარტნიორობის პრინციპებზეა ფოკუსირებული. შეერთებულმა შტატებმა ამ კუთხითაც, უკრაინასთან თანამშრომლობის სურვილი მსგავსად გამოკვეთა. უკრაინასთან ხელმოწერილი ქარტიის პრეამბულაშიც თანამშრომლობის გაღრმავებაზე კეთდება აქცენტი.

უკრაინა-საქართველოს თანამშრომლობის პრიორიტეტებზე, ქარტიის კუთხით შეგვიძლია ხელმოწერილ ქარტიებს შორის აშშ-სთან, მოვიყვანოთ კვლავ რამდენიმე მსგავსება-განსხვავება და უფრო ცხადად გამოვკვეთოთ, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება, კავკასიის რეგიონში და აღმოსავლეთ ევროპაში. (Civil.ge)

ა)ორივე დოკუმენტი ძირითადად იდენტურია თანამშრომლობის კუთხით და არსებით განსხვავებას არ შეიცავს. ბ) ორივე დოკუმენტში საუბარია ამ ქვეყნების (საქართველო, უკრაინა) ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერაზე. გ) ორივე

ქარტიაში ხაზგასმულია უსაფრთხობისა და თავდაცვის სფეროებში თანამშრომლობის აუცილებლობა, რათა ეფექტურად გაეცეს პასუხი მშვიდობისა და სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართულ საფრთხეებს. აღნიშნულია, რომ ძლიერი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო/უკრაინა, თავდაცვისუნარიანი და საკუთარ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის მქონე, არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნების მოსახლეობის კეთილდღეობასა და უსაფრთხოების გაძლიერებაში შეიტანს წვლილს, არამედ მთელი ევროპის თავისუფლებისა და მშვიდობის განმტკიცებაშიც.

ქართული ქარტია ამ თავში სამ დამატებით პარაგრაფს შეიცავს, რომლებშიც ხაზგასმულია: „მზარდი დემოკრატიის პირობებში საქართველო გზას გაუხსნის თავისი შრომისმოყვარე მოქალაქეების შემოქმედებით პოტენციალს და რეგიონსა და მის მიღმა კეთილდღეობის კატალიზატორის როლს შეასრულებს, ხელს შეუწყობს ევრო-ატლანტიკურ საზოგადოებასთან საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, უსაფრთხოებისა და სოციალური კავშირების გაღრმავებას“. ამავე დროს, მესამე პარაგრაფში დადებულია პირობა, რომლის თანახმადაც, „საქართველო ევროპულ და ტრანს-ატლანტიკურ პოლიტიკურ, კულტურულ, უსაფრთხოების, ეკონომიკურ და თავდაცვით ინსტიტუტებში ინტეგრაციისათვის (იგულისხმება ევროკავშირი და ნატო) განახორციელებს ქმედით ნაბიჯებს“.

განსხვავებული პრიორიტეტები: შესაბამისი ქარტიების მესამე ნაწილში, რომელიც სავაჭრო და ენერგეტიკულ თანამშრომლობას ეძღვნება, ორივე ქვეყნისთვის დათქმული პირობები საკმაოდ განსხვავებულია. უკრაინის დოკუმენტში არსებობს მინიშნება: რაც შეეხება საქართველოს, მასთან დაკავშირებით ქარტია ვაჭრობის ლიბერალაზაციისთვის აუცილებელი ზომების დადგენაზე და „თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესაძლებლობების კვლევაზე“ მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ ვაშინგტონი ადასტურებს, მზაობას დაეხმაროს საქართველოს ომის შემდგომ რეკონსტრუქციაში და განავითაროს აზერბაიჯანული ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების შესაძლებლობები, შექმნას „ახალი დერეფანი სამხრეთით, რომელიც დაეხმარება საქართველოსა და ევროპას ბუნებრივი აირის რესურსების დივერსიფიცირებაში“.

დოკუმენტის ქართულ ვერსიაში ნათქვამია, რომ აუცილებელია „საფუძველი ჩაეყაროს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის („სამხრეთ ოსეთის“) მცხოვრებთა და დანარჩენ საქართველოს შორის უწყვეტ კონტაქტებს“. ქარტიების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, ორივე ქვეყანა შეერთებული შტატებისთვის იყო მნიშვნელოვანი იმ პერიოდში თანამშრომლობის კუთხით (Civil.ge).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთი მუდმივად ცდილობდა, გავლენის სფეროების შენარჩუნებას პოსტსაბჭოთა ქვეყნების ტერიტორიებზე. მათ შორის საქართველოზეც. რუსეთის საგარეო პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის წინააღმდეგ იყო მიმართული. რუსეთი ღიად ეხმარებოდა აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტულ რეჟიმებს, საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ოფიციალური მოსკოვის მთავარი მიზანი საქართველოს საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევა და მისთვის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის ხელის შეშლა გახლდათ.

მაგრამ საინტერესოა, ოფიციალური მოსკოვის რეაქცია, სტრატეგიული დოკუმენტის გაფომრების შემდეგ, რაც კომპლექსური მიზეზებით იყო გამოწვეული. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ქართულ-ამერიკული ქარტიის ხელმოწერას რუსეთში ცივად, მაგრამ განსაკუთრებული რეაქციის გარეშე შეხვდნენ, განსხვავებით იმისგან, რაც წარსულში საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭების შესახებ ინფორმაციამ გამოიწვია. როგორც მოსკოვში აცხადებდნენ, ქარტია მხოლოდ დეკლარაციაა და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია სავარაუდოდ არ წავა რუსეთთან კონფრონტაციაზე საქართველოს გამო. მეორე მხრივ, დოკუმენტი შეიძლება აღმოჩნდეს სახიფათო მოსკოვისთვის, თუ მომავალში ის დაიწყებს „გაზრდას“ ახალი და რუსეთისთვის არასასურველი მიმართულებით, განსაკუთრებით კი საქართველო-ამერიკის სამხედრო თანამშრომლობის სფეროში. რუსეთის მთავარი შიში საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა იყო. ისტორიკოსთა შეფასებით, გამოკვეთილი მიზეზი, რის გამოც რუსეთმა დაიწყო აგვისტოს ომი საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელს, სწორედ, საქართველოს ნატოში ინტეგრაციის სურვილი იყო (შურღულაია: 2010). 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ნატოში ოფიციალური თბილისის ინტეგრაცია შეფერხდა, ამის გამო რუსეთი ცდილობდა დაეჭირა თითქოს ის პოზიცია, რომ მისთვის მეორეხარისხოვანია საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტის ხელმოწერა აშშ-სთან – რეალურად კი ეს დოკუმენტი რუსეთისთვის პოლიტიკურ მარცხსს ნიშნავდა.

სტრატეგიული ქარტიის შინაარსი და ძირითადი მიმართულებები. 2009 წლის 9 იანვარს ვაშინგტონში, სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხელმოწერის ცერემონიალი. დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი შეთანხმებული იყო ბარაკ ობამას მომავალ ადმინისტრაციასთან. ქარტის საფუძველზე შეიქმნა სტრატეგიული პარტნიორობის კომისია, რომელსაც თანა-თავჯდომარეობენ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი (შურღულაია, 2010: 56)

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა აღნიშნა, რომ ქარტია ასახავს „ჩვენს ფართო თანამშრომლობას, რათა დავეხმაროთ საქართველოს უსაფრთხოების, დემოკრატიული და საბაზარო ეკონომიკის რეფორმების განხორციელებაში, რაც გააძლიერებს საქართველოს, ხელს შეუწყობს ჩვენს პარტნიორობას და გააღრმავებს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას”.

საქართველო-აშშ-ს სტრატეგიული ქარტიით გათვალისწინებულ პირველ სხდომაზე 2009 წლის 22 ივნისს, ქალაქ ვაშინგტონში, უკვე ახალი ადმინისტრაციის პირობებში, გადაწყდა სამუშაო ჯგუფების შექმნა ოთხი პრიორიტეტული მიმართულებით: დემოკრატიის და მმართველობის; თავდაცვის და უსაფრთხოების; ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის; ხალხთა შორის ურთიერთობების და კულტურის დარგში გაცვლების. სამუშაო ჯგუფები უწყებათა ხელმძღვანელების დონეზე ყოველწლიურად იკრიბებიან, აჯამებენ განვლილ პერიოდს და თანხმდებიან სამომავლო გეგმებზე. წელიწადში ერთხელ საქართველოსა და აშშ-ში მონაცვლეობით იმართება კომისიის პლენარული სხდომა. ქარტიის ძირითადი შინაარსიც, სწორედ ამ პრიორიტეტული მიმართულებების ირგვლივ თანამშრომლობას ასახავდა.

გამოკვეთილია ძირითადი მახასიათებლები: ა) „იხსენებს რა საქართველოსა და რუსეთის მიერ 12 აგვისტოს აღებულ ვალდებულებას „ძალის არ გამოყენების შესახებ", ქარტია ამბობს, რომ „ამერიკის შეერთებულ შტატები და საქართველო გეგმავენ გააფართოვონ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე თანამშრომლობის პროგრამების ფარგლები, ამ საფრთხეების აღმოფხვრისა, მშვიდობისა და სტაბილურობისათვის ხელის შეწყობის მიზნით".

ბ) ეკონომიკური თანამშრომლობისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების კუთხით დოკუმენტში ნათქვამია, რომ ორი ქვეყანა აპირებს „შესწავლილ იქნეს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადების შესაძლებლობა" და „შეიქმნას ახალი სამხრეთული დერეფანი, რომელიც დაეხმარება საქართველოს და დანარჩენ ევროპას აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან იმპორტის უზრუნველყოფით მოახდინონ ბუნებრივი აირის მომარაგების დივერსიფიკაცია". დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების თვალსაზრისით, ორ ქვეყანა მზადაა ითანამშრომლოს, რათა „ხელი შევუწყოთ დამოუკიდებელ მედიას, გამოხატვის თავისუფლებას და ობიექტური ახალი ამბებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის ჟურნალისტებისა და მედიისათვის დახმარების გაწევის გზით". დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ აშშ კვლავაც დაუჭერს მხარს საქართველოს კანონის უზენაესობის გამტკიცებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდას.

გ) ქარტია ეფუძნება ორ სახელმწიფოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის პრინციპებს, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის მხარდაჭერას, დემოკრატიისა და სტაბილურობის განმტკიცებას. ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის გაღრმავების მიზნით, აშშ განახორციელებს გაძლიერებული უსაფრთხოების თანამშრომლობის პროგრამას, რაც გაზრდის საქართველოს პოტენციალს და გააძლიერებს ჩვენი ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანების შესაძლებლობებს.

დ) გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობის მიმართ საფრთხეების არსებობის გათვალისწინებით, საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები გააფართოვებენ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის პროგრამებს, იბრძოლებენ მასობრივი განადგურების იარაღისა და სახიფათო ტექნოლოგიების გავრცელების წინააღმდეგ. ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროებში თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველო და აშშ განაახლებენ ხელშეკრულებას ორმხრივი ინვესტიციების შესახებ, გააფართოვებენ პრეფერენციათა განზოგადებულ სისტემაში საქართველოს ჩართულობას და განიხილავენ თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების შესაძლებლობას. (Civil.ge)

აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტია, სამხედრო თანამშრომლობის კუთხით, არ მოიცავს დებულებას საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსების თაობაზე. „დოკუმენტი არანაირი ფორმით არ გულისხმობს ამერიკული ბაზების განლაგებას საქართველოს ტერიტორიაზე და ჩვენი ამოცანაა გავაძლიეროთ ქართული არმია და საქართველო დაიცვას ქართულმა არმიამ და არა რომელიმე სხვა ქვეყნის ჯარმა ან ბაზამ, რომელიც აქ იქნება განლაგებული", – აღინიშნა ორივე მხარის ოფიციალურ განცხადებებში, როგორც საქართველოდან ასევე აშშ-დან. დოკუმენტში საუბარია იმაზე, რომ აშშ გააგრძელებს საქართველოს დახმარებას თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების კუთხით. „ეს გულისხმობს დახმარებას ქართული არმიის გაწრთვნის, მომზადების და შეიარაღების სფეროში". ამ საკითხთან დაკავშირებით, მთავარი ინტრიგა და შეიძლება, მთავარი საკითხიც

რუსეთისთვის და არა მხოლოდ მისთვის, არის საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების განთავსების შესაძლებლობა. ბევრი ქართველი პოლიტიკოსი და მკვლევარი არ გამორიცხავს ასეთ პერსპექტივას და მიესალმება კიდეც მას, თუმცა ქარტია, როგორც ასეთი, მსგავს ვალდებულებებს არ შეიცავს, და საერთოდ ეს საკითხი საქართველოს პარლამენტის კომპეტენციაში შედის. მნიშვნელოვანია, რომ, ამ საკითხზე ზედმეტად მგრძნობიარედ რეაგირებს ირანის ხელისუფლებაც, რომელსაც ისედაც გართულებული ურთიერთობები აქვს ვაშინგტონთან და რუსეთის ხელისუფლების მსგავსად, საქართველოს განიხილავს ამერიკის ფორპოსტად კავკასიაში.

დოკუმენტში ვკითხულობთ: საქართველო და აშშ ხელს შეუწყობენ ეკონომიკურ რეფორმებსა და ლიბერალიზაციის პროცესს, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკურ ზრდას და ბიზნეს-კლიმატის გაუმჯობესებას. ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის გააქტიურების მიზნით, მხარეები შეისწავლიან საქართველოს ენერგეტიკული პროდუქციის ზრდის შესაძლებლობებს და გააძლიერებენ საქართველოდან ევროპული ბაზრებისკენ ენერგომატარებლების ტრანზიტის ფიზიკურ უსაფრთხოებას. აზერბაიჯანთან და თურქეთთან ერთად, საქართველო და აშშ განავითარებენ ენერგოინფრასტრუქტურის ახალ სამხრეთულ დერეფანს, რაც ჩვენს ქვეყანასა და დანარჩენ ევროპას დაეხმარება ბუნებრივი აირის უსაფრთხო იმპორტირებაში აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან. დემოკრატიისა და პოლიტიკური პლურალიზმის განმტკიცების მიზნით, მხარეები ითანამშრომლებენ, რათა გაძლიერდეს მედიის თავისუფლება, პარლამენტი, სასამართლო რეფორმა, კანონის უზენაესობა, ანტიკორუფციული ღონისძიებები, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.

კულტურის, განათლებისა და სამეცნიერო კვლევების სფეროებში გაიზრდება გაცვლითი პროგრამები, აგრეთვე აშშ-ი გეგმავს სავიზო პროცედურების გამარტივებას აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეთათვის. ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს დაეხმარება აგვისტოს ომის დროს დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და მედია გამოცემების აღდგენაში.

ქარტიის ხელმოწერიდან სულ რამდენიმე თვეში, – 2009 წლის 22 ივნისს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ ერთობლივი საბჭო დააფუძნეს, რომელიც ორ ქვეყანას შორის 2009 წლის 9 იანვარს ხელმოწერილი სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიაში მოცემული დებულებების განხორციელებაზე მუშაობა დაევალა. საბჭოს პირველი შეხვედრა ვაშინგტონში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის ჯეიმს სტეინბერგის თავმჯდომარეობით გაიმართა. შეხვედრის შემდეგ ვაშაძესთან ერთად გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე სტეინბერგმა განაცხადა, რომ საბჭო არის „ჩვენ ორ ქვეყანას შორის ხანგრძლივი და ღრმა მეგობრობის ახალი ეტაპი და ეს შეხვედრები ხაზს უსვამს იმ ვალდებულებას, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია ამ მნიშვნელოვანი შეთანხმების – საქართველოსთან ჩვენი ქარტიის განხორციელების კუთხით, რადგანაც ჩვენ ვაღრმავებთ ამ სტრატეგიულ პარტნორობას და ჩვენ განვაგრძობთ საქართველოსთან მუშაობას, რათა გავაძლიეროთ მისი დემოკრატია და რეფორმები“. ამავე დროს ამერიკელმა დიპლომატმა დასძინა: „შეერთებულ შტატებს მტკიცედ სწამს, რომ საჭიროა რუსეთთან უკეთესი ურთიერთობების ჩამოყალიბება და თეთრი სახლი ვერ ხედავს რუსულ-ამერიკული ურთიერთობების გაუმჯობესებაში რეგიონის რომელიმე ქვეყნის ან რომელიმე პარტნიორის უსაფრთხოების ან კეთილდღეობის შემცირების საფრთხეს“ (გეგეშიძე: 2017).

შეხვედრაზე განიხილეს განათლების სფეროში გაცვლითი პროგრამების და ინგლისურენოვანი ტრენინგების გაფართოების საკითხები, ასევე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობის საკითხები. ამ საკითხების გარდა, შეხვედრის მონაწილეები ასევე შეეხნენ საქართველოს სტრატეგიას სეპარატისტულ რეგიონებთან მიმართებაში, რომლის ერთ-ერთი მიზანი ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის კავშირების ხელშეწყობაა. სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე მხარეებმა ასევე განიხილეს საქართველოს ახალი სტრატეგია სეპარატისტულ რეგიონებთან მიმართებაში, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის კავშირების გამყარების საკითხსაც მოიცავს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს შეხვედრები უკვე საქართველომ გამართა, აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან, რადგან 2009 წლის 20 იანვრიდან რესპუბლიკელი ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია ჩანაცვლდა ბარაკ ობამას ადმინისტრაციით, რომელიც დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი იყო. ბ. ობამას ადმინისტრაცია ინარჩუნებდა საქართველოს მიმართ ზოგადად თბილ ურთიერთობებს, თუმცა, განსხვავებით წინა ადმინისტრაციისგან, ეს ურთიერთობები აღარ იყო აგებული პირად კავშირებზე. თანამშრომლობამ უფრო საქმიანი სახე მიიღო.

შემდეგ წლებში შესამჩნევი იყო თანამშრომლბის რუტინული მდგომარეობა, მაგრამ გრძელდებოდა მრავალი პროექტი: მათგან აღსანიშნავია: „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ 5 წლიანი მსხვილი პროგრამა სამცხე-ჯავახეთის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასთან USAID-ის, OPIC-ისა და სხვა სახელმწიფო უწყებების მხარდაჭერით. თუმცა ნაკლები იყო ახალი წამოწყებები სამხედრო თანამშრომლობის სფეროში. მეტიც, აგვისტოს მოვლენების შემდეგ საქართველოს მიმართ შეიმჩნეოდა ერთგვარი „ჩუმი ემბარგო“ სამხედრო ტექნიკური თანამშრომლობის ხაზით. პარალელურად, აშშ-ის მთავრობამ წამოიწყო რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვა“ რაც საქართველოს მიმართ მგძნობიარე პოლიტიკურ და სამხედრო თემებზე ადმინისტრაციის მხრიდან მეტ სიფრთხილეს განაპირობებდა (Civil.ge)

დასკვნა. განხილულ დოკუმენტთან დაკავშირებით სხვადასხვა ინტერპრეტაცის არსებობის მიუხედავად, ერთი რამ ფაქტია: შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში საქართველოს მოცემულ მომენტში გამოკვეთილი ადგილი ჰქონდა. მართალია, დოკუმენტს არასავალდებულო ხასიათი აქვს, მაგრამ ის მაინც ასახავდა ერთ მნიშვნელოვან მომენტს – შეერთებულ შტატებს სურდა, რომ კიევსა და თბილისს იმ სისტემურ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის სურვილი მისცემოდა, რომელთა საფუძველზეც ნატოს ევროპელმა წევრებმა ორივე ქვეყანას „მაპ“-ის მინიჭებაზე უარი უთხრეს.

მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის დოკუმენტი პასუხობს ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს და სრულ შესაბამისობაშია მის სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებთან. ამ დოკუმენტზე ხელმოწერით ურთიერთობები საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გადადის სრულიად ახალ ეტაპზე. ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობაში ასე ხშირად არასდროს არ ყოფილა ნახსენები ტერმინი „სტრატეგიული“. თუ ისტორიას გადავხედავთ, შეერთებული შტატებისთვის, ამ ტერმინს კონკრეტული და მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა აქვს და ამიტომაც იშვიათად იყენებს თავის საგარეო პოლიტიკურ რიტორიკაში.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ისიც, რომ ეს შეთანხმება ეყრდნობა საერთო ეროვნულ კონსენსუსს და ქართველმა ხალხმა, ამ დოკუმენტს კონსოლიდირებულად დაუჭირა მხარი. მეტად საგულისხმოა საქართველოს ოპოზიციური პარტიების უმრავლესობის განცხადებაც, რომ ისინი მიესალმებიან ქარტიის ხელმოწერას აშშ-სთან. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ქართული საზოგადოება მტკიცედ უჭერს მხარს ქართული სახელმწიფოს შემდგომ ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სივრცეში, რაც ალბათ ყველაზე დიდი მონაპოვარია. ამ დოკუმენტის ხელმოწერა არის საქართველოს ნატო-სა და ევროატლანტიკურ სივრცესთან დაახლოების კუთხით უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი. უფრო მეტიც, იგი შეძლება გახდეს კიდეც ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისკენ. თუმცა ეს არ უნდა მიიჩნეოდეს არარეალური პოლიტიკური მოლოდინების საფუძვლად, ვინაიდან ეს გზა რთული, წინააღმდეგობებით, აღსავსე პროცესია და საქართველოს წინ ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლება აქვს გადასალახი. ამ დოკუმენტის არსებობა განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური წარმატებების თვალსაზრისით. განსაკუთრებით ამ ეტაპზე როდესაც ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია უცხო, აგრესიული ძალის მიერ და ეს ძალა აგრძელებს აგრესიულ ქმედებებს საქართველოსთან მიმართებაში. როგორც დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, მხოლოდ ძლიერი დემოკრატია წარმოადგენს საქართველოს განვითარების სწორ გზას. რაც უფრო წარმატებული იქნება საქართველოს საგარეო პოლიტიკა ამ მიმართულებით, მით უფრო მეტი შანსია შევინარჩუნოთ ის დემოკრატიული მონაპოვრები, რომელიც ბოლო ოცი წლის განმავლობაში დააგროვა საქართველომ. სამწუხაროდ საქართველოს რუსეთის მხრიდან ადეკვატური პოლიტიკის იმედი არ უნდა ჰქონდეს, ერთადერთი იმედი დასავლეთის და მისი ლიდერის, ამერიკის მხარდაჭერაა, რომელიც აბალანსებს რუსეთის საფრთხეს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბულისკერია, მ. (2016). რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის საერთაშორისო შეფასების ისტორიისათვის. დისერტაცია. თელავი.

გეგეშიძე, ა. (2017). საქართველო და ამერიკა. თანამედროვე ორმხრივი ურთიერთობების ევოლუციის ძირითადი შტრიხები. თბილისი.

გეგეშიძე, ა. (1999). გეოპოლიტიკა. თბილისი.

კაკაჩია, კ. (2009). „ამერიკული დიპლომატიის „ახალი ტონი“ და საქართველო, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბილისი.

რცხილაძე, გ. (2008). ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საფუძვლები ამერიკელი და ევროპელი ავტორების მიხედვით-დასკვნები საქართველოსათვის თბილისი: წიგნის სახელოსნო.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2009-2012 წლებისთვის.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი: ინფორმაცია აშშ-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის დადების შესახებ, 2009 წ. 9 იანვარი.

შურღულაია, თ. (2007). აშშ-ს საგარეო პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში. თბილისი.

შურღულაია, თ. (2010). ამერიკის როლი საქართველოს საგარეო პოლიტიკურ სივრცეში. თბილისი: უნივერსალი.

შურღულაია, თ. (2009). საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები. თბილისი: უნივერსალი.

ქოჩორაძე, მ. (2008). „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა აშშ-ის სპეციალური ინტერესების თვალსაწიერში“ ამერიკის შესწავლის საკიხები. წიგნი მე-5 თსუ- I, თბილისი.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი: www.state.gov

აშშ-ს საელჩო საქართველოში: www.georgia.usembassy.gov

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისია საქართველოში: www.georgia.usaid.gov

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი. http://www.mfa. gov.ge/

საქართველოს საელჩო აშშ-ში: www.usa.mfa.gov.ge, facebook: Embassy of Georgia to the United States; Twitter: @GeorgianEmbassy

საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფის ერთობლივი განცხადება (23 მაისი, 2017) http://www.state.gov/p/eur/ci/gg/usgeorgiacommission/index.htm

Bush, 2002: Bush G., საქართველო ნატო-ში მიილტვის, civil.ge, https://old.civil.ge/eng/

https://carnegieendowment.org/2002/10/07/bush-doctrine-pub-1088

U.S. Department of State „U.S. Interests and foreign policy priorities in South Asia,“ statement before the house committee on international Relations, Washington, DC, June 22,2004.

David, Charles-Philippe; (2008-07-04.) Frédéric Ramel (Spring–Summer 2003). "The Bush Administrations's Image of Europe: From Ambivalence to Rigidity". International Journal of Peace Studies.

STRATEGIC PLAN. (2007). Fiscal Years 207-2009. Revised May 7,.

Civil.ge

Weisman, Steven R. (2002). President Bush and the Middle East Axis of Ambiguity". The New York Times.

REFERENCES

bulisk'eria, m. (2016). ruset-sakartvelos 2008 ts'lis agvist'os omis saertashoriso shepasebis ist'oriisatvis. disert'atsia. [For the history of the international evaluation of the war of August 2008 between Russia and Georgia. Thesis]. Telavi.

gegeshidze, a. (2017). sakartvelo da amerik'a. tanamedrove ormkhrivi urtiertobebis evolutsiis dziritadi sht'rikhebi. [Georgia and America. The main features of the evolution of modern bilateral relations]. Tbilisi.

gegeshidze, a. (1999). geop'olit'ik'a. [Geopolitics]. Tbilisi.

k'ak'achia, k'. (2009). „amerik'uli dip'lomat'iis „akhali t'oni“ da sakartvelo, akhali da uakhlesi ist'oriis sak'itkhebi. ["New Tone" of American Diplomacy and Georgia, Issues of New and Recent History]. Tbilisi

rtskhiladze, g. (2008). amerik'is sheertebuli sht'at'ebis sagareo p'olit'ik'is sapudzvlebi amerik'eli da evrop'eli avt'orebis mikhedvit-dask'vnebi sakartvelosatvis. [Foundations of the foreign policy of the United States of America according to American and European authors - conclusions for Georgia]. Tbilisi: Book workshop.

sakartvelos sagareo p'olit'ik'is st'rat'egia 2009-2012 ts'lebistvis. [Foreign policy of Georgia, strategy for 2009-2012].

sakartvelos sagareo sakmeta saminist'ros p'resisa da inpormatsiis dep'art'ament'i: inpormatsia ashsh-sakartvelos shoris st'rat'egiuli p'art'niorobis kart'iis dadebis shesakheb, 2009 ts'. 9 ianvari. [Department of Press and Information of the Ministry of Foreign Affairs of Georgia: Information on the signing of the Charter of Strategic Partnership between the USA and Georgia, 2009. January 9].

shurghulaia, t. (2007). ashsh-s sagareo p'olit'ik'a sakartvelostan mimartebashi. [US foreign policy in relation to Georgia]. Tbilisi.

shurghulaia, t. (2010). amerik'is roli sakartvelos sagareo p'olit'ik'ur sivrtseshi. [The role of America in the foreign political space of Georgia]. Tbilisi: Universal.

shurghulaia, t. (2009). sakartvelos sagareo p'olit'ik'uri orient'atsiis ist'oriul-p'olit'ik'uri asp'ekt'ebi. [Historical-political aspects of Georgia's foreign policy orientation]. Tbilisi: Universal.

kochoradze, m. (2008). „sakartvelos damouk'ideblobisatvis brdzola ashsh-is sp'etsialuri int'eresebis tvalsats'iershi“ amerik'is shests'avlis sak'ikhebi. ts'igni me-5 tsu- I,["The Struggle for Georgia's Independence in the Eyes of US Special Interests" American Studies. Book 5 TSU-I]. Tbilisi.

ashsh-s sakhelmts'ipo dep'art'ament'i: www.state.gov [US Department of State: www.state.gov].

ashsh-s saelcho sakartveloshi: www.georgia.usembassy.gov [US Embassy in Georgia: www.georgia.usembassy.gov].

ashsh-s saertashoriso ganvitarebis saagent'os (USAID) misia sakartveloshi: www.georgia.usaid.gov [US Agency for International Development (USAID) mission in Georgia: www.georgia.usaid.gov].

sakartvelos sagareo sakmeta saminist'ros vebgverdi. http://www.mfa. gov.ge/ [Website of the Ministry of Foreign Affairs of Georgia. http://www.mfa. gov.ge/].

sakartvelos saelcho ashsh-shi: www.usa.mfa.gov.ge, facebook: Embassy of Georgia to the United States; Twitter: @Georgian [Embassy Embassy of Georgia to the United States: www.usa.mfa.gov.ge, facebook: Embassy of Georgia to the United States; Twitter: @GeorgianEmbassy].

sakartvelo-amerik'is sheertebuli sht'at'ebis st'rat'egiuli p'art'niorobis kart'iis k'omisiis demok'rat'iisa da mmartvelobis samushao jgupis ertoblivi gantskhadeba (23 maisi, 2017) http://www.state.gov/p/eur/ci/gg/usgeorgiaco mmission/index.htm [Georgia-United States Strategic Partnership Charter Commission Democracy and Governance Working Group Joint Statement (May 23, 2017) http://www.state.gov/p/eur/ci/gg/usgeorgiaco mmission/index.htm].

Bush, 2002: Bush G., საქართველო ნატო-ში მიილტვის, civil.ge, https://old.civil.ge/eng/

https://carnegieendowment.org/2002/10/07/bush-doctrine-pub-1088

U.S. Department of State „U.S. Interests and foreign policy priorities in South Asia," statement before the house committee on international Relations, Washington, DC, June 22,2004.

David, Charles-Philippe; (2008-07-04.) Frédéric Ramel (Spring–Summer 2003). "The Bush Administrations's Image of Europe: From Ambivalence to Rigidity". International Journal of Peace Studies.

STRATEGIC PLAN. (2007). Fiscal Years 207-2009. Revised May 7,.

Civil.ge

Weisman, Steven R. (2002). President Bush and the Middle East Axis of Ambiguity". The New York Times.